



Brot
für die Welt

**ქალთა გამოცდილებები
ძალადობის სხვადასხვა ფორმაზე
ქალთა ისტორიები დასავლეთ საქართველოდან**



2025
დეკემბერი

ქალთა გამოცდილებები ძალადობის სხვადასხვა ფორმაზე

ქალთა ისტორიები დასავლეთ საქართველოდან

„დღეს უკვე ვიცი: ქალის მოთმინება სათნოება კი არა, ხშირად მის წინააღმდეგ გამოყენებული იარაღია. და მე ამ იარაღს ჩემს წინააღმდეგ აღარავის გამოვაცენებინებ“.

შესავალი

ქალთა მიმართ ძალადობა მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ადამიანის უფლებათა დარღვევად რჩება. იგი სხვადასხვა ფორმით ვლინდება - ოჯახში, საზოგადოებრივ სივრცეში და სულ უფრო და უფრო ციფრულ გარემოშიც. ძალადობა შეიძლება იყოს ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური ან ტექნოლოგიების გამოყენებით განხორციელებული, თუმცა ყველა ეს ფორმა ერთ საერთო რეალობაზე მიუთითებს: **ქალის კონტროლზე, დამცირებასა და თავისუფლების შეზღუდვაზე.**

საქართველოშიც ქალთა მიმართ ძალადობა კვლავ მნიშვნელოვან სოციალურ პრობლემად რჩება. კვლევები აჩვენებს, რომ ქალების დიდ ნაწილს ცხოვრების განმავლობაში ძალადობის მინიმუმ ერთი ფორმა მაინც გამოუცდია, თუმცა შემთხვევების მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ უხილავი და უთქმელი რჩება¹⁻². ამას ხელს უწყობს **გენდერული სტერეოტიპები, ეკონომიკური დამოკიდებულება, დახმარების სერვისებზე არასაკმარისი ინფორმაცია, ინსტიტუციების მიმართ უნდობლობა და საზოგადოებრივი სტიგმა**, რომელიც ქალებს ხშირად დუმილისკენ უბიძგებს. განსაკუთრებით რთულ მდგომარეობაში ხშირად აღმოჩნდებიან ქალები მცირე მუნიციპალიტეტებში, სადაც მხარდაჭერის მიღება უფრო მეტად არის დაკავშირებული გეოგრაფიულ, სოციალურ და კულტურულ ბარიერებთან³⁻⁴.

ამავე სურათს ადასტურებს ქალთა ფონდი „სოხუმის“ ადგილობრივი კვლევებიც. ფონდი 2019 წლიდან, აქტიურად აფასებს დასავლეთ საქართველოს 10 მუნიციპალიტეტში, ქალთა მიმართ ოჯახში ძალადობის მასშტაბებს, ძალადობის გავრცელებულ ფორმებსა და გამომწვევ ფაქტორებს, ასევე მხარდაჭერის სერვისების შესახებ ინფორმირებულობისა და ხელმისაწვდომობის დონეს.

1 გაეროს ქალთა ორგანიზაცია (UN Women) და საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (საქსტატი). ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში. თბილისი, 2022. https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2023-12/vaw_geo_web2.pdf

2 UN Women. ქალთა და გოგოების მიმართ ძალადობა საქართველოში: კანონმდებლობა, მექანიზმები და სერვისები. 2024. https://georgia.unwomen.org/sites/default/files/2024-09/violence_against_women_and_girls_in_georgia_geo_1.pdf

3 ქვეყნის გენდერული თანასწორობის პროფილი 2023. ხელმისაწვდომია <https://georgia.unwomen.org/ka/digital-library/publications/2024/02/kveqnis-genderuli-tanascorobis-propili-2023>

4 UNFPA Georgia Country Programme Document (2026–2030), ხელმისაწვდომია <https://www.unfpa.org/georgia-cpd-2026-2030-dpfpcpdgeo5>

2023 წლიდან დღემდე გამოქვეყნებული მიგნებები⁵ მიუთითებს ერთსა და იმავე ტენდენციებზე: ქალთა მიმართ ძალადობა დიდწილად „გაუხმაურებელ“ პრობლემად რჩება. ქალები ხშირად თავს იკავებენ ძალადობის საკუთარ გამოცდილებაზე საუბრისგან, რასაც აფერხებს სტიგმა, მოძალადის და საზოგადოების რეაქციის შიში, ასევე საზოგადოებრივი მხარდაჭერის ნაკლებობა. ამასთან, პრობლემად რჩება, როგორც ინფორმირებულობის არასაკმარისი დონე, ასევე მხარდაჭერის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, რასაც ემატება ინსტიტუციების მიმართ ნდობის დეფიციტი და ქალების ეკონომიკური დამოუკიდებლობისთვის არასაკმარისი შესაძლებლობები.

2025 წლის, კვლევის მონაცემებით⁶, ქალებს კვლავ უჭირთ, მათ ცხოვრებაში არსებული ძალადობრივი გამოცდილების გამხელა. გამოკითხული ქალების, მხოლოდ 9.4% საუბრობს მათ მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე, 32% აღნიშნავს, რომ ძალადობის გამოცდილება ჰქონია მათ ახლობელს, 53% უარყოფს მათ მიმართ ძალადობას, ხოლო 5.4% კითხვაზე პასუხის გაცემისგან თავს იკავებს. ძალადობის გავრცელებულ ფორმებში სახელდება ფსიქოლოგიური ძალადობა - 70%; ეკონომიკური ძალადობა - 45.2%; ფიზიკური ძალადობა - 40.2%; სექსუალური ძალადობა - 8%. ამასთან, ძალადობა სულ უფრო ხშირად იძენს ციფრულ ფორმებსაც, რაც მის კონტროლისა და ზეწოლის მასშტაბს აფართოებს. კვლევის მიხედვით, ყველაზე გავრცელებულია პირად სივრცეში ჩარევა (პაროლების მოთხოვნა, შეტყობინებების შემოწმება, ანგარიშებზე წვდომა) - 53.7%; ციფრული თვალთვალი (ლოკაციის ან ონლაინ აქტივობის მუდმივი კონტროლი) - 37.0%; ინტიმური მასალის გავრცელებით შანტაჟი - 23.7%.

კვლევის მონაცემებით, ნათლად იკვეთება, რომ ქალები კვლავ არასაკმარისად არიან ინფორმირებულნი დახმარების შესაძლებლობებზე, ქალების მხოლოდ 47%-მა იცის ზუსტად მხარდაჭერის რომელ სერვისს უნდა მიმართოს დახმარებისთვის, 42%-ი მხოლოდ ზოგად დონეზე ფლობს ინფორმაციას, ხოლო 11%-მა საერთოდ არ იცის, სად ეძიოს დახმარება.

ამასთან, დაბალია ოჯახში ძალადობის შემთხვევაში, შესაბამის სერვისებისთვის მიმართვიანობის დონეც. ოჯახში ძალადობის შემთხვევაში დახმარებისთვის მხოლოდ ყოველი მეშვიდე ქალი მიმართავს ცალკეულ სერვისებს (14.4%), ხოლო ყოველი მესამე (31,5%) მიმართვისგან თავს იკავებს.

არ მიმართვის მიზეზებად სახელდება: პრობლემის საკუთარი ძალებით მოგვარების მცდელობა - 24.4%; მოძალადის რეაქციის შიში - 23.1%, ინსტიტუციების მიმართ უნდობლობა - 18.1%, ოჯახის ან საზოგადოების განსჯის შიში - 15.0%, ინფორმაციის ნაკლებობა - 10.0% და სკეპტიციზმი, რომ დახმარება შედეგს არ მოიტანს - 8.8%.

ამ ბროშურაში წარმოდგენილია დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალების ისტორიები⁷. ეს არის ცოცხალი ხმები, რომლებშიც იკითხება უფრო ფართო რეალობა: შიში, დუმილი, სირცხვილი, დამოკიდებულება, წინააღმდეგობა და გადარჩენა.

5 SOSFsoxhumi, რისკების ინდიკატორი, ხელმისაწვდომია <https://sosfsokhumi.ge/map>

6 „ქალთა მიმართ ძალადობის რისკების ინდიკატორები: უსაფრთხოების მდგომარეობა, ოჯახში ძალადობა და მხარდაჭერის სერვისებზე ხელმისაწვდომობა“ (2025 წლის, დეკემბერი), ხელმისაწვდომია <https://sosfsokhumi.ge/fsmap2025ii>

7 ბროშურაში გამოყენებული ქალების სახელები შეცვლილია მათი უსაფრთხოების დაცვის მიზნით.

ამ ისტორიების გაზიარება ღუმლის დარღვევის მცდელობაა. რადგან ძალადობაზე საუბარი ხშირად პირველი ნაბიჯია მის ამოცნობაში, მისთვის სახელის დარქმევაში და მის წინააღმდეგ ბრძოლაში. ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ქალებმა იცოდნენ: **ისინი არ არიან მარტო. ძალადობა არასოდეს არის ნორმა და თითოეული ხმა, რომელიც ამაზე საუბრობს, ცვლილებისკენ გადადგმული ნაბიჯია.**

ძალადობის ფორმები ქალთა ყოველდღიურობაში

ქალთა მიმართ ძალადობის მრავალი ფორმა არსებობს და ხშირად ერთდროულად რამდენიმე ფორმით ვლინდება. ძალადობაგამოვლილ ქალებთან ჩატარებული ინტერვიუები აჩვენებს, რომ ძალადობა ყოველთვის არ იწყება ფიზიკური აგრესიით. ხშირად იგი იწყება შეუმჩნეველი, „უხილავი“ ფორმებით: კონტროლით, დამცირებით, ფინანსური დამოკიდებულების შექმნით ან ონლაინ სივრცეში თვალთვალთ.

ფიზიკური ძალადობა

ფიზიკური ძალადობა ქალთა მიმართ ძალადობის ერთ-ერთი ყველაზე ხილული ფორმაა. იგი გულისხმობს ქალის სხეულზე ძალის გამოყენებით ზემოქმედებას, ჯანმრთელობის დაზიანებას, თავისუფლების უკანონო აღკვეთას ან სხვა ისეთ მოქმედებას, რომელიც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას.

ეს შეიძლება გამოიხატოს დარტყმით, ხელის კვრით, თმის მოქაჩვით, სილის გაწვნით, სხეულის დაზიანებით ან სხვა ძალისმიერი ქმედებით. ხშირად ფიზიკურ ძალადობას თან ახლავს ფსიქოლოგიური ზეწოლა - დამცირება, ბრალის დაკისრება და შიში.

ფიზიკური ძალადობა დანაშაულია და პასუხისმგებლობა ყოველთვის მოძალადეს ეკისრება.

ლია, 36 წლის, ქუთაისის მუნიციპალიტეტი

„თავიდან სიტყვებით დაიწყო - დამცირება, ყვირილი, შეურაცხყოფა. მერე უკვე ხელითაც შემეხო. თავსაც აღარ იმართლებდა, მეუბნებოდა, რომ ეს ჩემი ბრალი იყო, რომ მე ვაიძულებდი ასე მოქცეულიყო.“

ხშირად ამბობენ: „თუ ძალადობს, რატომ არ წამოხვედი?“ მაგრამ სად წავიდე? როგორ ვიცხოვრო? შვილებს რა ვაჭამო? მეუბნებოდა, „ჩემ გარეშე ვერ გაძლებო“ და ეს ნელ-ნელა თვითონაც დავიჯერე“.

ფსიქოლოგიური ძალადობა

ფსიქოლოგიური ძალადობა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და ხშირად შეუმჩნეველი ფორმაა. იგი შეიძლება გამოვლინდეს მუდმივი დამცირებით, შეურაცხყოფით, მუქარით, მანიპულაციით ან ქალის თვითშეფასების მიზანმიმართული განადგურებით.

ხშირად ქალს არწმუნებენ, რომ ის არაფერს წარმოადგენს, რომ მის გარეშე არავინ მიიღებს ან რომ მას არ აქვს უფლება საკუთარი აზრი გამოხატოს. ასეთი გარემო ნელ-ნელა ანგრევს ქალის თავდაჯერებას და მას სრულიად დამოკიდებულ მდგომარეობაში აყენებს.

უხილავი ძალადობა - როცა ჯერ ვერ ხვდები

(ფსიქოლოგიური ძალადობა)

ნინო, 37 წლის, წალენჯიხის მუნიციპალიტეტი

„დიდხანს ვერ ვხვდებოდი, რომ ძალადობაში ვცხოვრობდი. მეგონა, უბრალოდ რთული ურთიერთობა მქონდა. გარედან ყველაფერი ჩვეულებრივად ჩანდა, მაგრამ სახლში სიმშვიდე აღარ არსებობდა. სულ დაძაბული ვიყავი, სულ ველოდებოდი, როდის მეტყოდა ისეთ სიტყვას, რომელიც გულში ღურსმანივით ჩამერჭობოდა.

თავიდან ყველაფერი ირონიით, დამცირებით და ჩემი აზრის გაუფასურებით დაიწყო. მერე ამას კონტროლი დაემატა - სად მივდიოდი, ვისთან მქონდა ურთიერთობა, რას ვაკეთებდი. ისე ხდებოდა ყველაფერი, რომ ნელ-ნელა საკუთარ თავს ვკარგავდი.

ყველაზე რთული ის იყო, რომ ამას დიდხანს ვერ ვარქმევდი სახელს. მეგონა, ძალადობა მხოლოდ ფიზიკურ ტკივილს ნიშნავდა, მე კი ყოველდღიურად სხვა რამე მანგრევედა - მუდმივი შიში, ჩემი ღუმილი და განცდა, რომ საკუთარ სახლში თავისუფლად ვეღარ ვსუნთქავდი. ერთ დღეს სარკეში ჩავიხედე და ვიფიქრე: სად გაქრა ის ქალი, ვინც ადრე ვიყავი?

როცა მივხვდი, რომ ეს მხოლოდ რთული ოჯახური ცხოვრება აღარ იყო, უკვე ვიცოდი, თუ დავრჩებოდი, საკუთარ თავსაც დავკარგავდი და შვილების გაზრდა ამ ძალადობრივ გარემოში მომიწევდა. წამოსვლა ძალიან მაშინებდა, მაგრამ დარჩენა უფრო საშიში იყო. ახლა ზუსტად ვიცი: რაც მე გადამხდა, ნორმა არ იყო. და ის ნაბიჯი, რომელიც გადავდგი, გადარჩენის ნაბიჯი იყო.“

სიტყვებით გამოწვეული თვითდესტრუქცია

(ფსიქოლოგიური ძალადობა)

ანა, 29 წლის, ქუთაისის მუნიციპალიტეტი

„მეგონა, უბრალოდ რთული ურთიერთობა მქონდა, ისეთი, როგორსაც ბევრი ქალი ითმენს და ხმას არ იღებს. დიდხანს ვერ ვხვდებოდი, რომ ძალადობაში ვცხოვრობდი.

მისი სიტყვები დღემდე მახსოვს. მეუბნებოდა: „არაფერში ვარგინხარ“, „შენნაირს ვინ აიტანს“, „ჩუმად იყავი, როცა მე ვლაპარაკობ“, „შენს გარეშე არაფერი დამაკლდება, შენ კი ჩემს გარეშე დაიკარგები“.

თავიდან ვბრაზდებოდი, მერე ვტიროდი, ბოლოს კი ჩუმად ვუსმენდი.

არავინ ხელავდა ჩემს შინაგან იარაღს და ვერავინ ატყობდა, როგორ შეიძლება სიტყვებითაც გაგანადგურონ“.

ეკონომიკური ძალადობა

ეკონომიკური ძალადობა გულისხმობს ფინანსური რესურსების კონტროლს და ქალის ეკონომიკური დამოუკიდებლობის შეზღუდვას.

ეს შეიძლება გამოიხატოს იმით, რომ ქალს არ აქვს წვდომა საკუთარ შემოსავალზე, არ შეუძლია მუშაობა, ან მას არ ეძლევა შესაძლებლობა დამოუკიდებლად მართოს ფინანსური რესურსები. ასეთ პირობებში ქალი ხშირად იძულებულია დარჩეს ძალადობრივ ურთიერთობაში, რადგან არ აქვს სხვა ეკონომიკური ალტერნატივა.

უხილავი ციხე

(ეკონომიკური ძალადობა)

ნესტანი, 29 წლის, ზუგდიდის მუნიციპალიტეტი

„ხშირად ამბობენ: თუ ძალადობდა, რატომ არ წამოხვედიო. თითქოს ამისთვის მხოლოდ კარის გაღებაა საჭირო. არადა, როცა ქალი ფინანსურად დამოუკიდებელია, ეს კარი შიგნიდან არის ჩაკეტილი.

როცა არ გაქვს საკუთარი შემოსავალი, პროფესია, სტაბილური სამსახური და შვილებზეც შენ ხარ პასუხისმგებელი, ყოველი დღე შიშით იწყება. სად წავიდე? როგორ ვიცხოვრო? შვილებს რა ვაჭამო? ეს კითხვები იმდენად მძიმე იყო, რომ ზოგჯერ საკუთარ ტკივილზე მეტად სწორედ მომავლის შიში მახრჩობდა.

მე ძალიან კარგად ვხედავდი, რომ ცუდ გარემოში ვცხოვრობდი, მაგრამ წასასვლელი რესურსი არ მქონდა. ამას სიტყვებითაც მიმტკიცებდა: „ფულს მე ვშოულობ, წესებსაც მე ვადგენო“. ასეთ დროს ფული მხოლოდ თანხა აღარ არის, ის თავისუფლებაა, არჩევანია, გაქცევის გზაა.

დღეს განსაკუთრებით კარგად მესმის, რომ ეკონომიკური დამოუკიდებლობა ქალისთვის მხოლოდ კომფორტი არ არის. ხშირად ეს გადარჩენის გზაა. მინდა ქალებმა იცოდნენ, რომ ეს უხილავი ციხე ნამდვილად არსებობს, მაგრამ მისგან თავის დაღწევაც შესაძლებელია.“

ციფრული ძალადობა

ციფრული ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად სულ უფრო გავრცელებულია ძალადობის ახალი ფორმა - ტექნოლოგიებით ხელშეწყობილი ძალადობა.

ეს შეიძლება მოიცავდეს ონლაინ თვალთვალს, პირადი მონაცემების კონტროლს, სოციალური ქსელების ანგარიშებზე წვდომის მოთხოვნას, პირადი ფოტოებით ან მიმოწერით მანტაჟს, ან ქალის რეპუტაციის დაზიანების მიზნით პირადი ინფორმაციის გავრცელებას.

ციფრული ძალადობა ხშირად რთულად დასამტკიცებელია და მსხვერპლ ქალებს არ აქვთ საკმარისი ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ასეთი ქმედებები ასევე წარმოადგენს ძალადობას და კანონით დასჯადია.

საქართველოში ტექნოლოგიებით ხელშეწყობილი ძალადობა განსაკუთრებით გავრცელებულია სოციალური ქსელების გამოყენების ზრდასთან ერთად. ქალები ხშირად ხდებიან ონლაინ თვალთვალის, მანტაჟის ან პირადი მონაცემების გავრცელების საფრთხის წინაშე.

კონტროლი და შიში

(ციფრული ძალადობა)

ნინო, 42 წლის, ხობის მუნიციპალიტეტი

„იყო პერიოდი, როცა მივხვდი, რომ პირადი სივრცე საერთოდ აღარ მქონდა. მაშინ ამას ძალადობას არ ვეძახდი. მეგონა, უბრალოდ უჭვიანობა იყო. მერე მივხვდი, რომ ეს კონტროლი იყო.“

ის ამოწმებდა ჩემს ტელეფონს, მიმოწერებს, ზარებს. ინტერესდებოდა, ვის ველაპარაკებოდი და რას ვწერდი. რაღაც მომენტში საკუთარი თავის გამართლება ჩვეულებად მექცა. ვცხოვრობდი განცდით, რომ სულ ვიღაცის წინაშე ანგარიშვალდებული ვიყავი.

ყველაზე შემადრწუნებელი ის იყო, როცა გავიგე, რომ ყალბი ანგარიშებით თვითონ მწერდა. მაშინ მივხვდი, რომ კონტროლი უკვე მხოლოდ სახლში აღარ არსებობდა, ის ჩემს ციფრულ სივრცეშიც შემოვიდა. ვეღარ ვგრძნობდი თავს უსაფრთხოდ ვერც ტელეფონში, ვერც სოციალურ ქსელში.

ხშირად მეუბნებოდნენ, „უჭვიანი ყოფილა, უყვარხარ და იმიტომ აკეთებსო“, მაგრამ სიყვარული კონტროლი არ არის. სიყვარული თვალთვალი არ არის. ახლა უკვე ვიცი: ვინც შენს პირად სივრცეს აკონტროლებს, ის ზრუნვას კი არა, ძალადობას ახორციელებს.“

ონლაინ მანტაჟი და სირცხვილის შიში

(ციფრული ძალადობა)

თამარი, 33 წლის, თერჯოლის მუნიციპალიტეტი

„ყველაფერი ჩვეულებრივი მიმოწერით დაიწყო. სოციალურ ქსელში გავიცანი ადამიანი, დავიწყეთ საუბარი, ვენდობოდი. მაშინ ვერ მივხვდი, რომ ერთ დღეს ამ ნდობას ჩემს წინააღმდეგ გამოიყენებდა.“

როცა ფოტოს გაგზავნა მთხოვა, საფრთხე ვერ დავინახე. მერე ყველაფერი უცებ შეიცვალა, იმავე ფოტოებით დაიწყო მანტაჟი. მემუქრებოდა და მაიძულებდა, მისი მოთხოვნები შემესრულებინა.

ყველაზე მძიმე მხოლოდ შიში არ იყო. იყო სირცხვილიც. საკუთარ თავს ვადანაშაულებდი: რატომ გავუგზავნე, რატომ ვენდე, რატომ ვერ მივხვდი თავიდან. სწორედ ეს არის ასეთი ძალადობის სისასტიკე, მსხვერპლს არა მხოლოდ აშინებს, არამედ საკუთარ თავსაც აპირისპირებს.

მეშინოდა, რომ თუ ამას ვიტყვოდი, დამადანაშაულებდნენ. დღეს კი ზუსტად ვიცი: ნდობის ბოროტად გამოყენება, მანტაჟი და პირადი მასალებით კონტროლი ძალადობაა. ამ დროს დამნაშავე არა ის ადამიანია, ვინც ენდო, არამედ ის, ვინც ნდობა იარაღად აქცია.“

ქუჩის შევიწროება და ქალის უსაფრთხოების პრობლემა

მარი, 30 წლის, ხობის მუნიციპალიტეტი

„ეს თემა ჩემთვის პირადად, რადგან ყოველდღიურად მახსენებს, რომ ქალი ხშირად თავისუფლად გადაადგილებასაც ვერ ახერხებს შიშის გარეშე. შეიძლება ძალიან მძიმე შემთხვევა პირადად არ გადამხდენია, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პრობლემა ჩემს ცხოვრებაში არ არსებობს.“

ქალები ბავშვობიდანვე ვსწავლობთ, რომ რაღაცები უნდა გავითვალისწინოთ, როგორ ჩავიცვათ, სად ვიაროთ, რომელ საათზე გავიდეთ, როგორ ვუპასუხოთ უცნობს. თითქოს თავისუფლება ყოველთვის პირობებით მოდის.

მე, მაგალითად, ღამით ტაქსით გადაადგილების შიში მაქვს. მანქანაში რომ ვჯდები, ვაკვირდები, ვიმახსოვრებ ნომერს, ვწერ ვინმეს, სად მივდივარ. ეს უკვე ჩვეულებრივ რიტუალად მექცა, მაგრამ სინამდვილეში უსაფრთხოების მუდმივი მონიტორინგია.

ყველაზე რთული ისაა, რომ ამ შიშს საზოგადოება ხშირად მაინც არ აღიარებს. ისევ ქალს ეკითხებიან: რა ეცვა, რატომ იყო მარტო, რატომ გავიდა იმ დროს. თითქოს პასუხისმგებლობა ისევ მას ეკისრება. არადა უსაფრთხოება ფუფუნება არ არის. უსაფრთხოება უფლებაა.“

სექსუალური ძალადობა

სექსუალური ძალადობა ხშირად ერთ-ერთი ყველაზე ნაკლებად განხილული ფორმაა. განსაკუთრებით რთულია ამაზე საუბარი მცირე თემებში, სადაც მსხვერპლი მუდმივ შიშშია საზოგადოების მხრიდან სტიგმისა და უნდობლობის გამო.

მარიამი, 34 წლის, ვანის მუნიციპალიტეტი

„ამაზე საუბარი დღემდე ძალიან მიმძიმს. დიდი ხნის განმავლობაში ვერ წარმომედგინა, რომ ოდესმე ხმამაღლა ვიტყოდი იმას, რაც ჩემს ცხოვრებაში ხდებოდა. მრცხვენოდა, მეშინოდა და ყველაზე მეტად ის მაშფოთებდა, რომ არავინ დამიჯერებდა.“

ეს არ ყოფილა ერთი დღე და ერთი შემთხვევა. ეს იყო წლები, როცა ჩემს ყოველდღიურობაში ერთმანეთში ირეოდა შიში, ტკივილი და უსუსურობის განცდა. ყველაზე მძიმე ის იყო, რომ ჩემი სხეული ჩემად აღარ მიგრძენია. თითქოს ჩემი სურვილი, ჩემი უარი და ჩემი საზღვრები არაფერს ნიშნავდა.

პატარა მუნიციპალიტეტში ცხოვრება ამ ტკივილს კიდევ უფრო ამძიმებდა. იქ ქალის ამბავი სწრაფად ხდება ჭორი, განხილვის თემა, გაკიცხვის მიზეზი. ამიტომ დუმილი თითქოს თავდაცვის ერთადერთი ფორმა იყო. მეშინოდა, რომ კითხვებს დაუსვამდნენ არა მას, ვინც მაყენებდა ტკივილს, არამედ მე.

მაგრამ ერთ დღეს მივხვდი, რომ დუმილი ვერ მიცავდა. როცა პირველად ვაღიარე საკუთარ თავთან, რომ ეს ძალადობა იყო, ძალიან მეტკინა, მაგრამ ამავე დროს ეს პირველი ნაბიჯიც იყო. დღეს ვიცი, რომ ეს ბრალი ჩემი არაა. ის, რაც ჩემ წინააღმდეგ მოხდა, დანაშაული იყო.“

ინსტიტუციური და სოციალური ბარიერები

ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანი გამოწვევაა ინსტიტუციური და სოციალური ბარიერები.

ქალები ხშირად არ მიმართავენ დახმარებას, რადგან:

- ⇒ ქალების ინფორმირებულობის დონე მხარდაჭერის სერვისების შესახებ კვლავ არასაკმარისია;
- ⇒ სერვისებზე ხელმისაწვდომობა პრაქტიკაში შეზღუდულია და დაკავშირებულია კონკრეტულ ბარიერებთან;
- ⇒ ინსტიტუციების რეაგირება ხშირად არ არის საკმარისად ეფექტიანი და თანმიმდევრული (მაგ., შემაკავებელი ორდერების აღსრულებისა და მონიტორინგის პრაქტიკაში იკვეთება გარკვეული ხარვეზები, ხოლო ჩარევა ზოგ შემთხვევაში ფორმალურ ხასიათს ატარებს);
- ⇒ ძალადობის შემთხვევებზე პასუხისმგებელი უწყებების მიმართ ნდობა დაბალია;
- ⇒ ოჯახისა და საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერის ნაცვლად ხშირად შეინიშნება ოჯახში ძალადობის მიმართ შემწყნარებლობა და ქალისგან „მოთმენის“ მოლოდინი;

მცირე მუნიციპალიტეტებში განსაკუთრებით მკვეთრია, როგორც სერვისებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა, ისე სოციალური გარემოს გავლენა, რაც კიდევ უფრო ართულებს ძალადობის შესახებ საუბარს და მხარდაჭერის მიღებას.

როცა სისტემა ვერ გიცავს

(ინსტიტუციური პრობლემა)

თეა, 40 წლის, წყალტუბოს მუნიციპალიტეტი

„მისი ქცევა აგრესიულია და არაპროგნოზირებადი. სვამს კიდევ და საერთოდ ვეღარ გააგებინებ რამეს. რომ ნახოს ვინმემ ფხიზელი, იტყვის - რა ტვინის კაციაო, მაგრამ როგორც კი დალევს, აღარ იცი, რას იზამს. ბავშვებიც კი იმალებიან, როცა ხედავენ, რომ მოდის.

ვერ გააგებინებ, რომ სჭირდება ექიმი, ფსიქოლოგი, ფსიქიატრი. არ მკურნალობს. პირიქით, რომ უთხრა, აქეთ გიწყებს ჩხუბს - „მე ვარ მართალი“.

პოლიციას ვიძახებთ, ორდერიც არის... მაგრამ მაინც დადის. მაინც მოდის. არღვევს და არაფერი ხდება. სხვებთანაც ვიცი, რამდენი ორდერი აქვთ და მაინც არ იცავს. მოდის, დგას, ყვირის... და რეაგირება არ არის ისეთი, რომ რამე შეიცვალოს.

მაშაომაც მითხრა ბოლოს - „აზრი არა აქვსო, ვერაფერს გააგებინებო“. და აღარ ერევა.

მუნიციპალურ ორგანოს რომ მიმართავ, პასუხი ერთია - „ბიუჯეტი ამოწურულია“. არც ფსიქოლოგი მოსულა ჩემთან, არც სოციალური მუშაკი, არავის მოუკითხავს. არაფრით მეხმარებიან.

წამლებს მე ვყიდულობ... ვცდილობ, წამლები მაინც მივცე, რომ დალიოს და ცოტა მაინც დამშვიდდეს, მაგრამ არ სვამს. და მენ ვერაფერს აკეთებ, ვერც აიძულებ, და არც არავინ გეხმარება.

მუშობლებს უმინიათ, არავინ ერევა. ოჯახშიც მუბნებიან - „მოითმინე, ხალხი რას იტყვის“...

და ბოლოს ისე გამოდის, რომ მენ მაინც მარტო რჩები. მიდიხარ, ითხოვ დახმარებას, მაგრამ რეალურად ვერავინ გიცავს.“

ძალადობის მრავალმრიანი ბუნება

თამუნა, 34 წლის, სენაკის მუნიციპალიტეტი

„ძალადობა ჩემს ცხოვრებაში ერთჯერადი შემთხვევა არ ყოფილა. ის ნელ-ნელა შემოვიდა და მერე წლები დარჩა. თავიდან შეიძლება ვერც კი ხვდები, როგორ იკვრება ეს წრე მენ გარშემო. ერთი სიტყვა, ერთი მუქარა, ერთი შიში, ერთი დამცირება, ერთი დარტყმა და მერე უცებ იაზრებ, რომ ეს ყველაფერი უკვე შენი ყოველდღიურობა გამხდარა.

ჩემს ცხოვრებაში ძალადობას ბევრი სახე ჰქონდა. იყო სიტყვები, რომლებიც მანადგურებდა. იყო მუქარა, რომელიც მუდმივ შიშში მამყოფებდა. იყო ტკივილი, რომლის შესახებაც ვერ ვლაპარაკობდი. იყო ისეთი გამოცდილებებიც, რომლებზეც დღესაც მიჭირს სიტყვების პოვნა. ყველაზე მძიმე ისაა, რომ ძალადობა იშვიათად მოდის ერთი ფორმით. ერთხელ თუ დაუშვი, რომ შენს საზღვრებს გადააბიჯონ, მერე ხშირად ერთი ფორმა მეორეს მოსდევს.

წლების განმავლობაში ამ ყველაფერზე დუმილი ვისწავლე. მრცხვენოდა. მეშინოდა. ვფიქრობდი, რომ არავინ დამიჯერებდა, ან თუ დამიჯერებდნენ, მაინც რაღაც ნაწილში მე დამადანაშაულებდნენ. ეს შიში ქალს ძალიან ჩემს ხდის. გარედან ჩვეულებრივად ცხოვრობ, შიგნით კი ყოველდღე გადარჩენისთვის იბრძვი.

ერთ მომენტში მივხვდი, რომ თუ ისევ ასე გავაგრძელებდი, საკუთარი თავისგან აღარაფერი დამრჩებოდა. ძალადობა მხოლოდ იმ წუთებში არ გტკენს, როცა ხდება. ის შენს თვითშეფასებაში, ფიქრებში, სხეულში, მომავალშიც გადადის. გართმევს ღირსების შეგრძნებას, არჩევანის უფლებას, საკუთარი ფასის განცდას. მეც თითქმის აღარ მახსოვდა, როგორი იყო ცხოვრება შიშის გარეშე.

მაგრამ დღეს უკვე ვიცი, რომ რაც გადავიტანე, ჩემ მიერ მოფიქრებული ან გაზვიადებული არ ყოფილა. ეს რეალური ძალადობა იყო. ვიცი ჩემი უფლებები. ვიცი ჩემი თავის ფასი. ვიცი ისიც, რომ აღამიანი, რომელმაც ერთხელ გამოიარა საკუთარი დაშლის გზა, ერთ დღეს მაინც შეიძლება თავიდან შეიკრას.

ახლა ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ისაა, რომ აღარასოდეს დავთმოებ საკუთარ საზღვრებს. აღარასოდეს მოვითმენ იმას, რაც ერთ დროს თითქოს „უნდა ამეტანა“. რადგან დღეს უკვე ვიცი: ქალის მოთმინება სათნოება კი არა, ხშირად მის წინააღმდეგ გამოყენებული იარაღია. და მე ამ იარაღს ჩემს წინააღმდეგ აღარავინ გამოვაყენებინებ.“

დასკვნა

ქალთა მიმართ ძალადობა მხოლოდ ინდივიდუალური ტრაგედია არაა, ეს სოციალური პრობლემაა, რომელიც გავლენას ახდენს ქალებზე, ბავშვებზე და მთლიან საზოგადოებაზე. ამ ბროშურაში წარმოდგენილი ისტორიები გვაჩვენებს, რომ ძალადობა სხვადასხვა ფორმით ვლინდება: ზოგჯერ აშკარად, ხშირად კი უხილავად და ყოველდღიურობაში შეფუთულად.

ამ გამოცდილებებზე საუბარი მნიშვნელოვანია, რადგან ღუმლის დარღვევა ხშირად პირველი ნაბიჯია ძალადობის ამოცნობისა და შეწყვეტისათვის. გადამწყვეტია მხარდაჭერის სისტემების ხელმისაწვდომობა, სამართლებრივი და ფსიქოლოგიური დახმარება, ინფორმირებულობა და საზოგადოების თანადგომა.

ყველაზე მნიშვნელოვანი კი ის არის, რომ ქალებმა იცოდნენ: ისინი არ არიან მარტო. ძალადობა არასოდეს არის ნორმა.

სად შეიძლება დახმარების მიღება

- **112** - პოლიცია / SOS - ჩუმი განგაშის ღილაკი (112 Georgia)
- **116 006** - ძალადობის მსხვერპლთა ცხელი ხაზი
- თავშესაფრები/კრიზისული ცენტრები - <https://sosfsokhumi.ge/central>
- არასამთავრობო ორგანიზაციების ფსიქოლოგიური/იურიდიული დახმარება
- კავშირი "საფარის" **აპლიკაცია SAFE YOU**
- **14 81** - საქართველოს სახალხო დამცველი
- **ძალადობაგამოვლილ ქალთა სერვისების ციფრული რესურსცენტრი** - <https://sosfsokhumi.ge/>



**ბროშურა ეფუძნება
ქალთა ფონდი „სოხუმის“ მიერ განხორციელებულ კვლევებსა და
მონიტორინგის ჯგუფის მიერ შეგროვებულ მონაცემებს.**

**ქალთა ისტორიების ადაპტაციასა და ბროშურის შედგენაზე მუშაობდა
ლინდა ჩიხლაძე**

**ტექსტის ანალიტიკური რედაქცია განხორციელდა
ქალთა ფონდი „სოხუმის“ თბილისის წარმომადგენლობის მიერ.**

**დაკაბადონება და დიზაინი
ლია კოსტავა**

მისამართები:

**ქ. თბილისი, ა. მიცკევიჩის ქ. #29 ბ, საოფისე ფართი #2
ქ. ქუთაისი, მაგლობლიშვილის ქ. 6**

**ელფოსტა: fundsukhumi@bilisi@gmail.com
womansukhumi@gmail.com**

ვებგვერდი: www.fsokhumi.ge

**ფეისბუქგვერდები: www.facebook.com/fsokhumi/
<https://www.facebook.com/WFSTbilisiOffice>
ინსტაგრამი/ტიკ ტოკი: [@wfsukhumi](https://www.instagram.com/wfsukhumi)**